საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-44/ნ
2017 წლის 5 ივლისი

ქ. თბილისი

„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანებით (სსმ, №114, 29/08/2006, სარეგისტრაციო კოდი: 470.230.000.22.035.009.152) დამტკიცებული „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ (დანართი №1) მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. გარდამავალ პერიოდში (2017 წლის 1 ივლისიდან – 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი) დახმარებასთან/შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საჯარო დაწესებულებებში ხორციელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო**